№ 16

ოთხშაბათი,

16 სექტემბერი

1909 წ.

# მომავალი

№ 16

ოთხშაბათი,

16 სექტემბერი

1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერადა დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

**მკერვალი ქალი**

ვიყვან მოსწავლეებს განურჩევლათ ხნოვანებისა, ვასწავლი ჭრასა და ხატვას სამი თვის განმავლობაში.

**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.**

**დუშეთის ქუჩა, № 7.**

---

ნაფიცი ვექილი

**სერგეი დ. ჯაფარიძე**

**ქუთაისიდან გადავიდა თფილისში**

ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11. (სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

---

**კბილის ექიმი**

**ი. შ. ჭანტურია**

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

---

**კბილის ექიმი**

**ს. ვაშაყმაძე**

აბასთუმანიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

---

მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**ხუთშაბათს, 17 სექტემბერს** 1909 წელს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან ბ-ნ კ. მესხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**ჭირვეული ცოლის მორჯულება**

კომედია 4 მოქმედებათ შექსპირისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი,

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპეიკამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება შაბათ საღამოს, 26 სექტემბერს. მზადდება წარმოსადგენათ „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოპოვისა, „შემოსავლიანი ადგილი“ ოსტროვსკისა და სხვა.

**დაბეჯითებით** ვსთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება **სრულიად** აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი**. ადმინისტრატორი **ხვიჩელი.**

---

**პარასკევს, 18 სექტემბერს** ბ-ნ ივანიძის რეჟისორობით და მონაწილეობით სახალხო სახლში სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება

**პატარა კახი**

აკ. წერეთლისა.

ადგილების ფასი 15 კ. 1 მ.-დე.

**დასაწყისი 7 ნახევარ საათზე.**

(2—1)

---

**ივ. ქარჩხოვი**

გადავიდა ბელინსკის ქუჩ. № 18.

---

**გაიხსნა ახალი**

**თფილისის**

**კერძო სამკურნალო**

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 895).

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა,

**ექ. გ. დამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს, შინაგ, და ბავშვ. ავათმყ, შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. ი პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით. 100—59

---

**მოწოდება**

ოზურგეთის წიგნთსაცავ სამკითხველოს გამგეობა, ვსთხოვთ ყველა წიგნების ავტორებს და გამომცემლებს ნუ დაიშურებენ თითო-ოროლა ცალს თავიანთ თხზულება-გამოცემებს და მით ხელი შეუწყონ განათლებას მოწყურებულს ღარიბ გურულ ხალხას განვითარებას. თვითეული შემოწირულება გამოცხადებული იქნება გაზეთში,

წიგნების და აგრეთვე ფულის გამოგზავნაც შეიძლება სამკითხველოს ან გამგეობის ერთ-ერთ წევრის სახელზე.

გამგეობის წევრნი: **ბ. ბებურიშვილი, დიმ. ერისთავი, ნიკო ქვაშალი, სტანისლავ კალატოზიშვილი, ს. თავართქილაძე**

(2—1)

## კანონ-პროექტები მუშათა შესახებ.

### I

ამ ჟამათ ორი პროექტი შევა, ან უკეთ, უნდა შევიდეს სახელმწიფო დუმაში მუშათა დაზღვევის შესახებ. ასეთია რუსეთის მთავრობის განზრახვა. დაზღვევის პროექტი აქვს შემუშავებული აგრეთვე გერმანიის მთავრობასაც რეიხსტაგში შესატანათ. ეს მოვლენა თავის თავათ, რასაკვირველია, შემთხვევითია, თვითეული მთავრობა თავის საკუთარ მიზეზების გამო ადგენს კანონ-პროექტებს და არა სხვისი წახედულობით, მარა ამ ორ სახელმწიფოების კანონპროექტებ შორის იმდენი თავისებური იდეიური კავშირია, ისეთი საერთო სულითაა ორივე გაჟღენთილი, რომ ძალაუნებურათ იწვევს შედარებას.

დიდი ღირსებებით არც ერთი კანონ-პროექტი არაა დაჯილდოვებული, მარა მათი განხილვა და ერთმანეთზე შედარება მაინც ბევრ საყურადღებო დასკვნებამდე მიგვიყვანს.

დავიწყოთ გერმანიის პროექტიდან. ეს პროექტი არ შეადგენს რაიმე ახალის, იგი არსებული საზღვევი კანონმდებლობის შეპაჩინკებაა, მათი ასე ვთქვათ, სისტემაში მოყვანაა, გაერთიანებაა. გაერთიანება, და სისტემატიზაცია კანონმდებლობის დიდათ სასარგებლოა, მარა არა ბიუროკრატიის ხელში. გერმანიის კანონ-პროექტის ავტორნი კი სწორეთ ამ ჯურის ხალხს ეკუთვნიან. ამიტომ იქ გაერთიანებამ მექანიკური, გარეგნული, ფორმალური ხასიათი მიიღო, ხოლო თვით კანონდება უფრო მეტათ გაჟღენთილია ბიუროკრატიზმით და ჩინოვნიკური სულით. გაუმჯობესების ნაცვლათ ის რამდენიმეთ გაუარესდა კიდეც. ასე, კეთილი საქმე ავ ხელში ბოროტების წყაროთ შეიქნა.

ამ კანონ-პროექტის ისტორია ასეთია. 1902 წელს, როცა უცხოეთიდან შემოტანილ პურზე და სხვა სანოვაგეზე მაღალი ბაჟი იქნა შემოღებული მემამულეების სასარგებლოთ, მთავრობამ პირობა დასდო ხალხის წარმომადგენლების წინაშე ამ ბაჟებიდან შემოსული ზედმეტი თანხით 1910 წლიდან პენსია დაენიშნება ქვრივებს და ობლებსო. ამის შესახებ ამ დროისთვის მზათ იქნება კანონ-პროექტიო. ახლა ეს ვადა უკვე მოახლოვებულია და მთავრობა ცდილობს თავისი დანაპირები შეასრულოს, მარა შესრულებაცაა და შესრულებაც. გერმანიის მთავრობა კი, როგორც სჩანს, ოდნავათაც არ ფიქრობს დანაპირები **სისწორით** შეასრულოს. ის საქმეს თითქო კიდეც აფართოვებს, მაგრამ ნამდვილათ კი, აფერხებს. ეს ხდება შემდეგი მახინაციების საშუალებით. ქვრივ-ობლების პენსიის კანონ-პროექტის მაგიერ ის მოყოლია მუშათა დაზღვევის შესახებ არსებულ მუშათა კანონმდებლობის შეერთება-შეთანხმებას და მათში ურთავს ქვრივ-ობოლთა პენსიასაც, მარა იმასაც შეზღუდული და შეკვეცილი სახით.

ამ პროექტით უნდა დაზღვეულ იქნეს არა ყველა ქვრივ-ობლები, როგორც თავდაპირველათ იყო განზრახული, არამედ მხოლოდ მათი, შედარებით მცირე ჯგუფი. ქვრივებიდან დაზღვევა ეხება მხოლოდ ინვალიდებს, ე. ი. შრომის უნარს მოკლებულთ და ისეთ ობლებს, რომელთა მშობლები დაზღვეული იყვნენ ინვალიდობისაგან, ე. ი. დავრდომილობისაგან. ამნაირათ, ოჯახობა ახალგაზდა მუშის, რომელიც ინვალიდობისაგან დაზღვეული არაა, მოკლებული იქნება ყოველ დახმარებას. პენსია ეძლევათ ქვრივებს სიკვდილამდე, ხოლო ობლებს არა სრულწლოვანობამდე, არამედ მხოლოდ 15 წლის შესრულებამდე. და რომ ამ ხნის განმავლობაშიაც საწყალ ობლებს ფული არ გადააყოლონ და გაჭირვება და ობლობა მაინც აგრძნობინონ, კანონპროექტი ასე ზღუდავს მათ მისაცემ ფულის რაოდენობას: ქვრივს და ობლებს ერთათ, რამდენიც უნდა იყონ ისინი, არ უნდა ეძლეოდეს ერთნახევარ პენსიაზე მეტი. ხოლო ობლებს ცალკე—ერთი ინვალიდის პენსიაზე მეტი. ასე რომ, თუნდ ობლები 5, 7, 9 სული იყონ, ერთი კაცის პენსიაზე მეტ თანხას ვერ ეღირსებიან. ბევრის გამეტება ამ მცირერიცხვოვან ჯგუფისთვისაც ვერ გაბედა გერმანიის ბიურო-კამარილამ. გაჭირვებულთა დიდი რიცხვი სრულიათ უმწეოთაა დატოვებული, პურისა და სხვა სანოვაგის ბაჟებით კი დღესაც ტყავი სძვრებათ მომხმარებელთ.

მარა დავანებოთ ობლებს და ქვრივებს თავი. ჩვენთვის აქ უფრო საინტერესოა თვით მუშათა დაზღვევის სხვადასხვა ფორმების შეთანხმება-შეერთება. საქმე იმაშია, რომ მუშათა დაზღვევა გერმანიაში საკმაოთ ფართოთაა დაყენებული. იქ არსებობს ავათმყოფობისაგან ე. წ. საავათმყოფო კასები, დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან და დაზღვევა მოხუცებულობისა და ინვალიდობისაგან (დავრდომისაგან). საინვალიდო პენსია ეძლევა ისეთ პირს, რომელმაც შრომის უნარი დაკარგა სნეულობისა ან სხვა რაიმე მიზეზით, გარდა მუშაობის დროს დასახიჩრებისა; ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის იღებს დაკმაყოფილებას უბედურ შემთხვევათაგან დამზღვევ საზოგადოებისაგან.

თვითეულ სახის დაზღვევას თავისი საკუთარი თანხა აქვს და საკუთარი ორგანიზაცია აქვს. საავათმყოფო კასები შესდგება მუშებისა და ხაზეინების მიერ დადებულ პროცენტებისაგან. დღემდე არსებულ კასებში მუშები იხდიან სამ მეხუთედს—ხაზეინები ორ მეხუთედს. ამის შესაფერათ კასების გამგეობა თვით მუშების ხელშია. ხაზეინების ხმა იქ სუსტია. კასის გამგეობა თვით ირჩევს ექიმს, ანაწილებს დახმარებას და სხ. ასე რომ, აქ სრულიად გაბატონებულია თვითმართველობის პრინციპი. მისი დადგენალების განსაჩივრება შეიძლება საზოგადო ადმინისტრატიულ დაწესებულებებში. ეს კასები ყველაზე უფრო ახლოა მუშებზე და მითი მუშების დიდი რიცხვი სარგებლობს. წლიურათ ეს კასები დახმარებას აძლევენ დაახლოებით 3 მილიონ ნახევარ ავათმყოფ მუშას. დახმარება უდრის 5—10 დღის ჯამაგირს.

დაზღვევა უბედურ შემთხვევათაგან ერთიანათ ხაზეინებს აწევს კისერზე. ისინი ადგენენ ამ მიზნით დამზღვევ საზოგადოებებს და თვითონვე არიან მისი გამგე-მართველი. აქაც, ამნაირათ თვითმართველობაა, მარა ხაზეინების. მუშებს შეუძლიათ მათ დადგენილ პენსიის რაოდენობას არ დასჯერდენ და საქმე სამედიატორო სამართალში გადაიტანონ. ეს შეუძლია ხაზეინსაც, თუ ისაა უკმაყოფილო დამზღვევ საზოგადოების დადგენილებით. ეს სასამართლო შესდგება თანასწორათ მუშებისა და ხაზეინების წარმომადგენლებისაგან და თავმჯდომარეთ ყავს მთავრობის წარმომადგენელი. სამედიატორო განაჩენის განსაჩივრება შეიძლება მხოლოდ საიმპერიო საზღვევ გამგეობაში (ან ცალკე მოკავშირე სახელმწიფოების საზღვევ გამგეობაში).

მოხუცებულობისა და ინვალიდობისაგან დაზღვევის ორგანიზაციას თვითმართველობის ნასახიც არა აქვს. ის ერთიანათ მთავრობის ჩინოვნიკებსა აქვთ ჩაბარებული. მხოლოდ სააპელაციო ინსტანციებს შეადგენენ ისე, როგორც უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის დროს, სამედიატორო სასამართლო და საიმპერიო საზღვევი გამგეობა.

როგორც ვხედავთ, აქ სხვადასხვა ორგანიზაცია, სხვადასხვა თანხა, სხვადასხვა პრინციპი საჭირო იყო მათი გაერთიანება, საერთო პრინციპზე აგება, ასე ვთქვათ, ერთ ძაფზე აცმა, სისტემაში მოყვანა. აქ შეიძლებოდა ან ყველგან ერთი და იგივე თვითმართველობის პრინციპის გატარება და ყველაზე დაინტერესებულ მხარისთვის, მუშებისთვის შესაფერი ხმის მინიჭება, ყოველ შემთხვევაში, მათი ხაზეინებთან გათანასწორება, ან და მეორე გზის არჩევა, ბიუროკრატიულ ელემენტების გაძლიერება და თვითმართველობის შეკვეცა. მთავრობამ ეს მეორე გზა აირჩია, მარა ამ პრინციპით ყველა ამ სახის დაზღვევის შეერთება შეუძლებელი იყო. თვითმართველობების სრული გაუქმება, საავათმყოფო კასებსა და დამზღვევ საზოგადოებებში ეს ისეთი რეაქციონური ნაბიჯი იქნებოდა, რომელიც დიდ აურ-ზაურს და წინააღმდეგობას გამოიწვევდა. ისეთ წინააღმდეგობას, რომელზედაც ბოლო და ბოლოს თვით კანონ-პროექტს ფეხს წამოკრავდა და კისერსაც მოიტეხდა.

ქვრივ-ობლების დაზღვევის შეზღუდვა ჩვენ უკვე განვიხილეთ. ის წინანდელ დანაპირების მხოლოდ აჩრდილია, მონაგონია, მეტი არაფერი. არსებულ დაზღვევის ფორმებსაც უკეთესი დღე არ დასდგომია. ყველაზე მეტათ დაზარალდა საავათმყოფო კასები, რომელნიც ყველაზე დემოკრატიული იყვნენ და სადაც მუშების ხმას მეტი გასავალი ქონდა. ახალი კანონ-პროექტი მასაც საერთო საიმპერიო საზღვევ გამგეობებს უქვემდებარებს და მის ორგანიზაციაში შესაფერი ცვლილებები შეაქვს. ყველა სახის დაზღვევის გაერთიანება ახალი პროექტით გამოიხატა არა კანონების შეთანხმებაში, არამედ მათთვის საერთო ზედამხედველ ინსტანციების დაწესებაში. დაარსებულია დაბალი და მაღალი გამგებლობა (**управленіе**) და მათ ზევით დგას ცალკე მოკავშირე სახელმწიფოების და საერთო საიმპერიო დამზღვევი გამგებლობა. ესენი შეადგენენ ყველა დამზღვევ ორგანოების უმაღლეს ინსტანციებს. თვით ამ დამზღვევ ორგანოებში უკანასკნელი ორი ე. ი. უბედურ შემთხვევათა და მოხუცებულობისაგან და ინვალიდობისაგან დამზღვევ ორგანოთა ორგანიზაცია უცვლელი დარჩა, ისინი მხოლოდ დაემორჩილენ ამ ახალ ორგანოებს. საავათმყოფო კასის ორგანიზაციაში კი არსებითი ცვლილებაა შეტანილი. პირველათ ყოვლისა მთავრობამ შეამცირა შიგ მუშათა ხმა. აქამდე მათი წარმომადგენლების რიცხვი გამგეობაში 2-ჯერ მეტი იყო ფაბრიკანტების წარმომადგენლებზე; საერთო კრებაზეც ხომ ისინი იყვნენ უმრავლესობა და ასე ყოველი კითხვა მათი ნების და ინტერესების თანახმათ წყდებოდა, ამიტომ კასები უფრო მუშათა დაწესებულება იყო. ახლა მთავრობა ორივე მხარეებს თანასწორ წარმომადგენლობას აძლევს და ამის გასამართლებლათ ორივე მხარეს თანასწორ თანხას ახდევინებს. ამ პროექტით რამდენსაც საერთოთ მუშები იხდიან კასის სასარგებლოთ, იმდენი უნდა შეიტანონ ხაზეინებმაც. მარა თუ ფულის გადასახადის ასეთი განაწილება უფრო სამართლიანია, სამაგიეროთ მისი ხაზეინების ხელში ჩაგდება ამ სამართლიანობას ერთიანათ წინააღმდეგ ხასიათს აძლევს. მუშებს ახალი პროექტით აღარ შეეძლებათ ამ თანხით თავის ნებისამებრ სარგებლობა, ხოლო ხაზეინების ნება რომ მათთვის არაფერი სასარგებლო იქნება, ეს თავისთავათ ცხადია. ხაზეინების უპირატესობას კი კანონ-პროექტი დიდი მზრუნველობით იცავს. ამას მოწმობს თავმჯდომარის არჩევის წესი. თავმჯდომარე უნდა არჩეულ იქნეს ორივე მხრის შეთანხმებით ე. ი. კანდიდატმა უნდა ხმის უმეტესობა მიიღოს როგორც მუშებში, ისე ხაზეინებში. და თუ ეს ვერ მოხერხდა, ზედა ინსტანცია ნიშნავს თავის წარმომადგენელს. ზედა ინსტანციას შეუძლია აგრეთვე გადააყენოს გამგეობის ესა თუ ის წევრი, თუ მას არა საიმედოთ იცნობს. ამნაირათ, უზრუნველყოფილია ხაზეინების უმრავლესობა ამ კასებში.

უმაღლეს ორგანოებში ორივე მხარეს ყავს თავისი წარმომადგენლობა, მარა აქ მუშათა ხმა კიდევ უფრო დაჩრდილულია. ეს ხდება ამგვარათ: დაბალ გამგებლობაში წარმომადგენლებს ირჩევენ კასის გამგეობები, ამ გამგეობებში კი მეტობს ხა-

ზეინების რიცხვი თავმჯდომარიანა. ამას გარდა ხაზეინების უპირატესობის შესაქმნელათ შემოღებულია განსაკუთრებული ტიპის საეროზო კასები, სადაც გამგეობა თითქმის ერთიანათ ეროზის წარმომადგენლებისა და ფაბრიკანტების ხელშია. გამგეობა აქ არჩევნებით კი არ დგება, არამედ კომუნალური კავშირისაგან (ე. ი. საეროზო თვითმართველობა) ინიშნება. კომუნალური კავშირები კი მიწათმფლობელების და ფაბრიკანტების ხელშია. მართალია, ეს ახალი კასები წინათ დაზღვეულ მუშათა რიცხვს 10 მილიონამდე ახალ სოფლის მუშებს უმატებენ, მარა ეს ახალი „მოწყალებაც" მთავრობამ თავის ბოროტ-განზრახვების იარაღათ გამოიყენა, კასების ბიუროკრატიზაციის საშვალებათ აქცია. ასეთია ბიუროკრატიის ბუნება ყველგან.

საერთოთ გერმანიაში მუშათა დაზღვევა ფართეთაა გავრცელებული. იგი ეხება თითქმის ყველა დარგის მუშებს, როგორც მსხვილ ისე წვრილ წარმოებაში, როგორც კერძო ისე სახელმწიფო- და თვითმართველობის დაწესებულებებს, მარა ამ დაზღვევას ხაოტიური, მოუწესრიგებელი სახე აქვს და ახალი კანონ-პროექტით ეს ნაკლი ოდნავაც არ გასწორებულა. მას არც კი მოუსურვებია საერთო ორგანიზაცია შეექმნა ყველა გვარის დაზღვევისათვის, არ მოუსურვებია სხვადასხვა გვარის საავათმყოფო კასების ერთ ტიპის კასებათ გადაქცევა. ასე რომ, როგორც ძველი კანონი, ისე ახალი კანონ-პროექტი ძალაში სტოვებს მრავალგვარ კასების არსებობას; ახლა კი, ეს კასები მრავალგვარი და არეულია. არის კასები ტერიტორიალური, ადგილობრივი, საფაბრიკო, საამშენებლო, ცეხური, სამთო-მადნო და სხ. ყველა ამათი გაერთიანება და ერთ ყალიბზე ჩამოსხმა დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებათაა მიჩნეული ყველასაგან, მარა მთავრობამ ამ კულტურულ მუშაობას ბიუროკრატიული „კანცელიარშჩინა" ამჯობინა და თუ რამე შეზღუდა, ეს ისევ საურთიერთო დახმარების თავისუფალი კასები, რომელთაც მუშები აარსებენ თავისთვის. ასეთი კასების მოქმედება ახალი პროექტით შევიწროვებულია და მათი ხელ-ახლა დაარსება აკრძალულია. ასეთია გამაერთებელი მოღვაწეობა გერმანიის მთავრობის მუშათა კანონმდებლობაში. მარა ის მაინც ვერ შეედრება ამ მხრივ რუსეთის ბიუროკრატიის შემოქმედებით ნიჭს. როგორია ამ უკანასკნელის პროექტები?

ამაზე შემდეგ. **რ. ა.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 სექტემბერი.

### სპარსეთი.

**თეირანი**. პოლევსკი კოზელი აუდიენციაზე იყო ახმედ-შახთან და ჩააბარა რწმუნების ღრამოტები, შემდეგ ინახულა რეგენტი და საგარეო საქმეთა მართველი.

**თეირანი**. მინისტრ პრეზიდენტათ დანიშნეს სეპეხდარი. საგარეო საქმეთა მინისტრათ ალეუს სალტანე. გუბერნატორის ადგილები ყველგან ახალი მთავრობის მიერ დანიშნულმა პირებმა დაიჭირეს, ყაზვინისა და ასტრაბადის გარდა. ხვალ მიდიან ყაზვინში სილუდ-დოულე და ასტრაბადში ამირაზანი.

ზილლი სულთანმა გადაუხადა მთავრობას 100,000 თუმანი ფულათ, 200,000 თუმნის ვექსილი მისცა და წავიდა ენზელში, საიდანაც ევროპაში გაემგზავრება.

### რუსეთი

**ეჩმიაძინი**. საუცხოვო დღეა. დღეს მირონი უნდა სცხონ სრულიად სომხების კათალიკოსს მათეოს მეორეს. დილიდანვე აუარებელმა ხალმა იწყო დენა. მათი რიცხვი 15 ათას აღწევს.

დელეგატების რიცხვი 75 კაცამდეა. მათ ინახულეს კათალიკოსი. საპასუხო სიტყვაში კათალიკოსმა განუცხადა დელეგატებს, რომ მისი მთავარი მიზანია იზრუნოს სკოლებზე და წესიერება და კანონიერება შემოიღოს ეკკლესიების მართვა-გამგეობის საქმეში. მოუწოდა მთელ სამწყსოს დაეხმარონ მას შეასრულოს თავისი ვალი მთელი სომხების წინაშე, დილის 11 საათზე კათალიკოსი დიდის ამბით თავის ბინიდან ეკკლესიაში წაიყვანეს, სადაც მირონი სცხეს და ფიცი მიიღო. მირონ-ცხების ცერემონიას დაესწრო ბაქოს გუბერნატორი ბარონი ტიზენგაუზენი და მრავალი უმაღლესი პირნი.

**ვარშავა**. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებათ აირჩიეს ბარაჩი, კრონენბერგი, ლუბენსკი, შებეკო, მარშევსკი, მორავსკი და ბოძინსკი.

**ლიუბლინი**. სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლებათ აირჩიეს პრჟანოვსკი, ბოდუშინსკი, კოვერსკი და დუმის ყოფილი წევრნი გეპელი და ფლიორკოვსკი.

**ორენბურგი**. მემამულეთა სიეზდმა სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკი როსტოვცევი.

**პეტერბურგი**. საოლქო სასამართლომ განიხილა გაზეთ „ნოვოე ვრემია"-ს გამომცემელ სუვორინის საქმე. მას აბრალებდენ ფინანსთა სამინისტროს ნება დაურთველათ უცხოეთის ლატარიის შესახებ განცხადების დაბეჭდვას. სასამართლომ სუვორინი გაამართლა.

**რიგა**. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა ორი ნაფიცი ვექილის, ერთი ნაფიც ვექილის თანაშემწის, ექიმის, ვაჭრის და ინტენდანტის საქმე, მათ აბრალებდენ 1905 წელს რევოლიუციონურ ტრიბუნალში მონაწილეობის მიღებას და ორი პოლიციელის გასამართლებას. ყველანი გაამართლეს.

**ირკუტსკი**. სამხედრო სამართალში მისცეს სამი მძარცველი, სემინარიის რექტორ არქიმანდრიტ ევგენიზე თავდასხმისთვის. არქიმანდრიტი შეებრძოლა მძარცველებს, რის შემდეგაც ისინი გაიქცენ. დაჭრის დროს მათ წაართვეს 4 რევოლვერი, ხანჯალი და ორი ყუმბარა.

**პეტერბურგი**. 27 დეკემბერს პეტერბურგში გაიხსნება პსიხიატრების სიეზდი.

**ტერიოკი**. ღამის ათ საათზე „სევერნი ნომრებს", რომელიც ცნობილია გერცენშტეინის პროცესით, ცეცხლი გაუჩნდა და სულ გადაიბუგა.

**ნიჟნი ნოვგოროდი**. გორბატოვის მაზრის სოფელ ნატალინაში 102 სახლი დაიწვა. ზარალი 41,600 მანეთამდეა.

**ომსკი**. კოკჩეტაევსკის მაზრაში დაიწვა კონსერვის ქარხანა, რომელიც ინგლისელ ბერგელს ეკუთვნოდა. ზარალი 700,000 მანეთამდეა. ქარხანა დაზღვეული არ ყოფილა.

**ჩერნიგოვი**. გლუხოვსკის მაზრის სოფელ რუდენკაში დაიწვა 40 სახლი. ცეცხლში დაიღუპა ბებერი დედაკაცი და მრავალი საქონელი.

**პეტერბურგი**. გერცენშტეინის საქმის შესახებ, გაზეთი „როსია" სწერს: „ფინლიანდიის სასამართლოს უკანასკნელმა სხდომებმა დაგვარწმუნა, რომ სასამართლომ უკანასკნელი სიტყვა უკვე სთქვა. ეს სიტყვა შეეხება იმას, რომ მართალი არიან ისინი, რომლებიც ამტკიცებდენ, პოლიტიკური პროცესები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ რუსები, თუნდაც ბოროტ-მოქმედება ფინლიანდიის ტერიტორიაზე ჩადენილი, უნდა გაირჩეს რუსეთის სასამართლოებში. ამის გამო უნდა შეცვლილ იქნას 216 სტატია, რომლის შესახებ ბევრი ლაპარაკი მოხდა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივიდენ საკანონმდებლო დაწესებულებები, რომ ასეთი აქტის შესრულების დრო არის. თითონ ფინლიანდიელებმა გვიჩვენეს, რომ კერძო საქმეების გამოყოფის საკითხი უკვე იმდენათ მომწიფდა, რომ განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საკითხის ხასიათი მიიღო.

**უფა**. აკსაკოვის სახელობაზე სახალხო სახლის საფუძველი ჩაყარეს. გადაიხადეს პარაკლისი.

**ხარკოვი**. აკურთხეს დრამატიულ არტისტ შუვალოვის ძეგლი.

**ნოვოჩერკასკი**. სახელმწიფო საბჭოს წევრის კანდიდატათ აირჩიეს მღვდელი ტროიცკი.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი**. 12 სექტემბერს ხოლერით ავათ გახდა 35, მოკვდა 15, ავათ არის 369.

**კიევი**. ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 12, მოკვდა 5.

**არხანგელსკი**. ერთ კვირაში ხოლერით ავათ გახდა 9, მოკვდა 5.

**ამსტერდამი**. განსვერტში ხოლერით ავათ გახდა ერთი,

**პეტერბურგი**. დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 42, მოკვდა 11, ავათ არის 376.

### საზღვარ-გარეთ

**ფრანკფურტი**. 20—27 სექტემბერს აქ მოხდება ჰაერში მფრინავთა საერთაშორისო გაჯიბრება. ჯერ-ჯერობით მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადა 12 კაცმა, მათ შორის ბლერიომაც.

**მიულენი**. ტრიფოლემსა და ვილნევის შუა გასქდა ჰაერის ბურთი. დაიღუპა 4 კაცი.

**მელილია**. 12 სექტემბერს მცირე ბრძოლის შემდეგ ისპანელებმა აიღეს მტრის ბანაკი ტანინის ახლოს. ისპანელებმა მცირე ზარალი ნახეს, მტერმა დიდი. აღებულ პოზიციას ისპანელები ამაგრებენ, რომ შემდეგი ოპერაციისთვის გამოიყენონ.

[illegible] რომ ისპანელებს და მავრებს შეტაკება მოუვიდათ. მავრებმა დიდი ზარალი ნახეს.

**მელილია**. ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ ისპანელებმა აიღეს პადორი და მახლობელი სიმაღლეები. ბევრი ტყვეები ხელთ ჩაიგდეს და 60 თოფი ჩამოართვეს.

**ტანჟერი**. საპასუხო ნოტაში მულაი გაფიდი აცხადებს, რომ აჯანყებაში მონაწილე ტყვეებს შეღავათი მისცა, რამდენათაც ამას ნებას აძლევს სარწმუნოებრივი კანონები. სულთანს იმედი აქვს, რომ როცა მაროკის ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგება, მას შეძლება მიეცემა ასეთ ზომებს აღარ მიმართოს.

**იოკაგამა**. დღეს ნაგასაკში აკურთხეს რუსეთ-იაპონიის ომში დახოცილ 200 რუს სალდათის საფლავის ძეგლი. დაესწრენ რუსეთის ელჩი, არქიეპისკოპოსი ნიკოლაი, იაპონიის სამოქალაქო, სამხედრო და საზღვაო მთავრობის წარმომადგენელნი.

**ბუდაპეშტი**. კოშუტის პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს შეატყობინეს, რომ დეპუტატთა პალატის პრეზიდენტი ხვალ შეიტანს წინადადებას სხდომის 22 სექტემბრამდე გადადების შესახებ. გადადების მიზეზია ის, რომ მეფეს ჯერ ვერ გადაუწყვეტია კაბინეთის გადაყენების საკითხი. დამოუკიდებელ პარტიის კონფერენციაზე კოშუტმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ საქმის ვითარებას პესიმისტურათ უნდა შევხედოთ. შემდეგ მან სთქვა, რომ მეფეს უნდა ინახულოს ის. აუდენციის დროს ის აუხსნის მეფეს საქმის ვითარებას. კოშუტი იმ აზრის არის, რომ ქვეყნის კრიზისებისაგან დახსნისათვის საჭიროა პარტიის პროგრამის შეცვლა, ისე რომ, ძირითადი პრინციპები უცვლელათ დარჩეს. კონფერენციამ დაადგინა ხმა მისცეს დეპუტატთა პალატის სხდომის 22 სექტემბრამდე გადადებას

---

## ისტორიული მატერიალიზმი

II.

როგორც პირველ წერილიდან დავინახეთ, პარტიის ცნობილი თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ ნატურალურ-ფილოსოფიური მატერიალიზმი და მარქს-ენგელსის ისტორიული მატერიალიზმი ერთი-მეორისგან არსებითათ განირჩევიანო. განვიხილოთ კითხვა ცოტა უფრო დაწვრილებით და დავრწმუნდეთ ამ აზრის სამართლიანობაში.

ფილოსოფიის ისტორიიდან ვიცით, რომ საფრანგეთის მატერიალისტები მეთოდოლოგიურათ, განსაკუთრებით, ბუნების კანონებს იკვლევდენ, ასეთი იყო იმ დროის მატერიალისტების მსოფლმხედველობა, თუმცა მათი მატერიალიზმი, ზედმეტ ამისა, სხვა მრავალ ემპირიულ მეცნიერებასაც შეიცავდა. ისტორიული მატერიალიზმი კი, ანუ როგორც მიღებულია, ეკონომიური მატერიალიზმი იკვლევს მხოლოდ ეკონომიურ ურთიერთობას, რომელიც თავის მხრივ „მატერიალურ პირობებათ" იწოდება, მას თავის საკვლევ ობექტათ (საგნათ) მარტო სოციალური მოვლენაში გაუხდია. ცნების მხრივაც, მათ შორის არ არსებობს არავითარი კავშირი, თითოეულ მათგანს, კვლევა-ძიების დროს, სულ სხვადასხვა დისპარატიულ (წინააღმდეგ) ელემენტებთან აქვთ საქმე. ასე რომ ამ მხრივაც მათ შორის რამე ურთიერთობის აღმოჩენა ერთობ ძნელია. მაქს ცეტერბაუმის შეხედულებით, საზოგადოთ ნატურალურ-ფილოსოფიური მონიზმი ფილოსოფიურ დისციპლინას, ფილოსოფიურ სისტემას ეკუთვნის. ფილოსოფია კი, როგორც ასეთი, არის მუდამ შემეცნებითი კატეგორია, რომელიც კვლევის დროს ძიობს, თუ მთელ სამყაროს უკანასკნელ საფუძველს რა შეადგენს, როგორ წარმოიშვა ადამიანის ცოდნა-გამოცდილებები. ამისათვის მისმა მატერიალიზმმა განსაზღვრული თეზა მოიპოვა. წინააღმდეგ, ისტორიული მატერიალიზმი კი ეკუთვნის ემპირიულ მეცნიერების დარგს. უკანასკნელი კი არის ისეთი შემეცნებითი დარგი, რომელიც საკვლევად სხვადასხვა სამყაროს ღებულობს და იძიებს მათ შორის ურთიერთობა-ცვალებადობას. ასეთსავე საკვლევ მეთოდით არის აღჭურვილი ისტორიული მატერიალიზმის თეორია, რომელიც იკვლევს იმ ისტორიულ ფენომენთა (მოვლენათა) ურთიერთობას, საზოგადოების წევრთა დამოკიდებულებას, ისტორიის განვითარების კანონს. ეს ემპირიული თეორიაა და თავისი შინაარსით ისეთივე მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს სოციალურ მეცნიერებისათვის, როგორც მაგ. ლამარკინ-დარვინის თეორიას ბიოლოგიისთვის, ან და გრავიტაციის (სიმძიმის) თეორიას ფიზიკისა ასტრონომიისთვის. საზოგადოთ, ის ისტორიული მატერიალიზმის თეორია, როგორც ყველა ემპირიული თეორიები, სამყაროს არსებობის ძირითად მიზეზებზე ძალიან ნაკლებათ ლაპარაკობს.

ნატურალურ-ფილოსოფიური და ისტორიული მატერიალიზმის თეორია, ორივე მატერიალისტურ თეორიათ ცნობილია, და ბევრნი ამ მონიზმში ხედავენ მათ ერთგვარობას, მათ ნათესაობას, შინაგან მგზავსებას. ნამდვილათ კი, ისტორიული მატერიალიზმის მონიზმი ნატურალურ-ფილოსოფიურ მონიზმიდან არსებითათ განსხვავდება. სხვათა შორის, ნატურალურ-ფილოსოფიური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ორი სხვადასხვა მოვლენათა გრუპპა (ჯგუფი), ორი სიკონკრეტე (სინამდვილე საგნისა) თავის-თავად ერთეულია, მხოლოობაა. ისტორიული მატერიალიზმი კი ოდნავათაც არ ფიქრობს ფიზიკურ და ფსიხიურ არსებობის ერთგვარობას. ორსავე მიმდინარეობიდან იღებს მხოლოდ მათ მიერ მოყვანილ დასკვნებს, ფაქტებს, როგორც ეს მათ ცდამ დაანახვა და მათ შორის განსხვავების აღმოსაჩენათ უშვრება ანალიზს. ისტორიული მატერიალიზმი არ კამათობს ფილოსოფიის მსოფლ-მხედველობაზე, იგი იკვლევს სოციალურ მოვლენათა ურთიერთობას, ცდილობს მათ შორის ლოღიკურ დამოკიდებულების აღმოჩენას...

ამ ორ მატერიალიზმს, როგორც იგივე მაქს-ცეტერბაუმი ამბობს, სულ სხვადასხვა კვლევითი საგნები აქვთ. ფილოსოფიურ მატერიალიზმის კვლევით საგანს მხოლოდ „მატერია" შეადგენს, და ყველა ფსიხიური მატერიის თვისებაა, მისი მოძრაობის შედეგია. ისტორიული მატერიალიზმის საძიებელ საგანს კი ადამიანთა საზოგადოება შეადგენს. აქ ჩვენ ვარჩევთ ეკონომიას, სოციალურ მოვლენათა სხვადასხვა ორგანიზაციას, როგორც მაგ. სახელმწიფოს, ოჯახს და სხვას... იდეოლოგიას, როგორც მაგ. მორალს, (ზნეობას), რელიგიას (სარწმუნოებას) და სხვას... საზოგადოების არსებობა, როგორც ეკონომიურ, ისე იდეოლოგიურ მიმდინარეობაში, მდგომარეობს ადამიანთა განსაზღვრულ დამოკიდებულებაში. ადამიანის მიუცილებლობას შეადგენს, ეგრეთ წოდებული, საზრდოს შოვნა მოპოვება, ბრძოლა არსებობისათვის წარმოება, მოტანილ იერიშის მოგერიება. და ამგვარი არსებობისთვის ბრძოლა აიძულებდა მას სხვა თავის მგზავს ადამიანებთან შეკავშირებულიყო. პირველათ ასეთი კავშირი ანუ შეკავშირება წარმოიშვა შვილსა და დედის შორის, რომელიც ჩვეულებრივ ბუნებრივ კავშირათ იწოდება. ეს დედა-შვილური კავშირი დროთა მსვლელობაში მშობლებს სინდისის იმპერატივათ (ბრძანებათ) გადაექცა. შემდეგში ბუნებრივი კავშირი, რომელიც თავის მხრივ გამოწვეულია ორგანიზაციულათ მოწყობილ ადამიანთა არსებობის დაცვით, თანდათან, წარმოების წესის განვითარებასთან ინტენსიური და მრავალ-მხროვანი ხდება. შრომის განაწილებასთან ხომ ეს კავშირი ძლიერ ჯაჭვათ გადაიქცა, რომელიც ერთ ოჯახს მეორესთან, ერთ საზოგადოებას მეორე საზოგადოებასთან აკავშირებს, რომლის გაწყვეტ-გათავთავება ისტორიულათ შეუძლებელი ხდება. ეს ურთიერთობა შეიცავს ადამიანის სულიერ და ხორციელ არსებობას და აი, ამ ურთიერთობის კვლევა-ძიებაშია ისტორიული მატერიალიზმის თეორია, ამას იკვლევს მისი მეთოდი.

ფილოსოფიურ მატერიალიზმს მატერია წარმოდგენილი აქვს, როგორც უსულო ნივთიერება; მისი შეხედულებანი იდეოლოგიური ნაწარმოებიც კი, როგორიც არის მაგ. სტატუია (ქანდაკება), ტაძრებ-პირამიდები, უნდა, როგორც ნივთიერათ განიხილოს. ისტორიული მატერიალიზმის მეთოდით კი იკვლევა და იხილება ცოცხალი მოქმედი ადამიანები, თავის მრავალგვარ რელაციებით, როგორც არის მაგ. ბატონ-ყმობა, დღიურ ქირის სისტემა, საწარმოვო იარაღები, მაშინები, დამზადებული საქონელი და სხვა ამისთანები. ესენი არიან ისტორიული მატერიალიზმის, ეგრეთ წოდებული მატერიალური ფაქტები, რომლებიც, საზოგადოთ, „მატერიათ" იწოდებიან. რასაკვირველია ისტორიული მატერიალიზმი ყველა ამაებს, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ნაყოფს განიხილავს. მაშ, როგორც სჩანს, ამ ორ მატერიალიზმს შორის არ არსებობს საერთო საზომი, აქვთ სულ სხვადასხვა კვლევითი საგანი, სულ სხვადასხვა შემეცნებით.

ჩვენ გვგონია, სრულიად უადგილო არ იქნებოდა, აქვე გვეთქვა, რომ მარქსიზმს, როგორც სოციალურ თეორიას, ტენდენციათ აქვს, რამდენათაც კი შესაძლოა, ნივთიერებას ელიმინაციას გზა აუქციოს და მის მაგიერ პროცესი (მოქმედება) ჩააყენოს. მარქსიზმისთვის „მატერიალური (ნივთიერი) ნივთები" ადამიანის მოქმედების კრისტალური ნაწარმოებია. ამავე თვალსაზრისით განიხილავს თვით ბუნებასაც, ვინაიდან იგი ადამიანის მოქმედების ბაზისია, წყაროა მის საზრდოებისა. ამისათვის საწარმოვო ძალთა განვითარება და საერთოდ წარმოების ურთიერთობის ცნებები თავიდანვე ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულებას გულისხმობდენ, მათ ერთმანეთზე ზეგავლენას, და აი, ამ პროცესის დროს მოვლენების დიალექტიურათ განხილვა მარქსიზმის მთავარი დანიშნულებაა.

როგორც სჩანს, ამ ორ მატერიალიზმთა შორის საკვლევ ობექტების, (საგნების) მხრივაც ძირითადათ განსხვავებაა. პირველი შეხედვით, თითქოს შეიძლებოდეს ლაპარაკი მათ ელემენტების ერთგვარ მოქმედების ანალოგიაზე, მაგრამ არც ეს არის მართალი. ნატურალურ-ფილოსოფიური მატერიალიზმი იღებს იმ დებულებას, რომ ტვინი „მატერიალური", რომელიც ქმნის ანუ წარმოშობს შემეცნებითი მოქმედებას, უშინაარსო, ცალიერი მქნილებაა, იგი თავის შინაარს პირველათ გარეშე ქვეყნიდან ღებულობს. ისტორიული მატერიალიზმის შეხედულობით ეკონომია, ეკონომიური სტრუქტურა განსაზღვრავს ადამიანთა და საზოგადოების შემეცნებას, ადამიანების იდეოლოგიას, ისტორიულ შემეცნების შინაარსს.

დიახ, ეს მხოლოდ ზოგიერთა ზერელე მოაზროვანეთ ეჩვენებათ ზევით დასახელებული თეორიების მგზავსება, ერთგვარობა. მაგრამ ვინც კი კითხვას დაწვრილებით განიხილავს, ის უმალვე მიხვდება, რომ მათ შორის მგზავსება მხოლოდ გარეგნულია, თითოეულს სულ სხვადასხვა შემეცნებით წესი და მიზანი აქვთ.

ახლა კითხვა იმაშია, ვიცოდეთ, თუ როგორ უყურებდა ჩვენ მიერ წამოყენებულ პრობლემას მარქსი და ენგელსი. რამდენათაც კი მათ ნაწერებს ვიცნობთ, ვგონებ, არც მარქსი და არც ენგელსი პირდაპირ ამ კითხვაზე არაფერს ამბობენ. მხოლოდ ის კი კარგათ ვიცით, რომ საზოგადოთ ორივენი, განსაკუთრებით კი მარქსი, ძალიან მცირეთ იყო დაინტერესებული მეტაფიზიკური კითხვებით. მან მთელი თავის ძალ-ღონე ბუნების და ისტორიის სინამდვილის შესწავლას მოანდომა. იმათ არსად არ უთქვამთ, რომ მათ ისტორიულ მატერიალიზმის თეორიას მეტაფიზიკურ ფილოსოფიასთან რამე ნათესაობა, რამე მგზავსება ქონდეთ. ისინი თუ როდისმე ფილოსოფიით სარგებლობდენ, ეს მხოლოდ გერმანიის იდეალის-

# უკანასკნელი ფოსტა

## რუსეთი

**მეორე საარჩევნო წინასწარი კრება.** მეორე წინასწარი საარჩევნო კრება პეტერბურგში, როგორც პირველი, პოლიციის წარმომადგენლის ჩარევით დაბოლოვდა, რომელმაც სხდომა დახურა. კრებას დიდძალი ხალხი დაესწრო. ილაპარაკა სამმა სადეპუტატო კანდიდატმა: კუტლერმა, კუზმინ-კარავაევმა და სოკოლოვმა. კუტლერი შეეხო თანამედროვე მდგომარეობას და როდესაც რუსეთში გამეფებულ თვითნებობაზე გადავიდა, მას პოლიციის წარმომადგენელმა სიტყვა გააწყვეტია. მას შემდეგ ილაპარაკა კუზმინ-კარავაევმა. უკანასკნელათ ილაპარაკა ს.-დ. კანდიდატმა სოკოლოვმა, მან მკაცრი კრიტიკა გაუკეთა კადეტების მოქმედებას დუმაში და თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: „მოქალაქენო! წინადადებას გაძლევთ დუმის დეპუტატათ მე, სოც.-დემოკრატების წარმომადგენელი ამირჩიოთ. ს.-დ. პარტია არის პროლეტარიატის ინტერესების დამცველი, იმ პროლეტარიატის, რომელმაც პირველი საყოველთაო გაფიცვით თქვენ 17 ოქტომბრის მანიფესტი მოგანიჭათ...“.

ხალხში ცხარე ტაშის-ცემაა. ბოქაული ორატორს სიტყვას აწყვეტიებს და კრებას ხურავს.

**ბულაცელი პასუხისგებაში.** ჟანდარმი ზაპოლსკი, რომელიც ცნობილია, როგორც მოწმე გერცენშტეინის საქმეში, ბულაცელს პასუხისგებაში აძლევს. ის ბულაცელს ცილისწამებას უჩივის. ბულაცელმა ჟანდარმ ზაპოლსკის მოყიდულობა დასწამა.

**რამდენი ტუსაღია რუსეთის ციხეებში.** იუსტიციის სამინისტროს გამოანგარიშებით რუსეთის სატუსაღოებში დაპატიმრებულთა რიცხვი დღეს 169,385 კაცს უდრის. ეს რიცხვი იმას მოწმობს, რომ პატიმართა რაოდენობა ამ უკანასკნელ 12 წლის განმავლობაში გაორკეცებულა.

**ბულაცელის ავტომობილიდან გადმოვარდნა.** ბულაცელი ტერიოკის პროცესიდან ავტომობილით პეტერბურგში ბრუნდებოდა. ბელოოსტროვის მახლობლათ ავტომობილი სვეტს დაეჯახა. ბულაცელი ავტომობილიდან გადმოვარდა და მსუბუქათ დაშავდა.

**გზათა სამინისტროს პროექტი რკინის გზის მუშათა შესახებ.** ამ ჟამათ გზათა სამინისტროში შეუმუშავებიათ ახალი პროექტი რკინის გზის მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დასაზღვევათ. ეს პროექტი სხვადასხვა უწყებებს დაურიგდა გასაცნობათ. შემდეგ პროექტი მინისტრთა საბჭოს გადაეცემა განსახილველათ.

**მემარჯვენეთა სიეზდი.** პურიშკევიჩის და მისი ამხანაგების თაოსნობით ოქტომბრის დასაწყისში მოხდება პეტერბურგში მემარჯვენე ფრაქციების და „ჭეშმარიტ რუსთა“ კავშირის სიეზდი. სიეზდზე განიხილავენ საკითხს მემარჯვენე ფრაქციების მოქმედების შესახებ დუმაში. ამ კითხვის შესახებ მოხსენებას პურიშკევიჩი წაიკითხავს. გარდა ამისა სიეზდზე გაირჩევა საკითხი, დუმის კომისიებში მემარჯვენეთა მდგომარეობის შესახებ. მემარჯვენეები ძალიან უკმაყოფილონი არიან იმითი, რომ ოქტომბრისტები ყველა კომისიებში დიდ უმრავლესობას შეადგენენ. მემარჯვენეთა აზრით ეს გარემოება არ შეეფერება სახელმწიფო სათათბიროში არსებულ ძალთა განწყობილებას.

**ახალი კანონი სამუშაო დღის შესახებ ფინლიანდიაში.** ფინლიანდიის სეიმის სპეციალურმა კომისიამ უკანასკნელი კითხვისდროს მიიღო კანონ-პროექტი სამუშაო დღის შესახებ. ამ კანონპროექტის ძალით არ შეიძლება მუშები 57 საათზე მეტი ამუშავონ კვირაში და 10 საათზე მეტი დღე-ღამეში. მუშებს, 18 წლიწადზე ზევით, ნება აქვთ კვირაში განსაზღვრულ დროზე მეტი იმუშავონ 10 საათი, მხოლოდ ზედ მეტ სამუშაო დროში მუშებს ეძლევათ დაწესებული ხელფასის 50 პროც. მუშები 16-დან 18 წლამდე შეიძლება ამუშავონ დღე-ღამეში 8 საათს, რომელთაც ჯერ 16 წლიწადი არ შესრულებიათ, მათი სამუშაო დრო 6 საათითაა განსაზღვრული.

ეს კანონი შეეხება ყოველგვარი სამრეწველო, სავაჭრო, ასაშენებელ დარგებში და აგრეთვე სახელოსნოებში მომუშავეთ. სეიმში ამ კანონს დიდი უმრავლესობა უჭერს მხარს და იმედი აქვთ მოკლე ხანში კიდევაც მიიღებენ.

**ახალი ცირკულიარი არჩევნების წინასწარ კრების შესახებ.** იმ ადგილებში, სადაც სათათბიროს არჩევნებია დანიშნული, პ. ა. სტოლიპინმა ცირკულიარი დაგზავნა. ამ ცირკულიარის ძალით ნება დართულია საარჩევნო აგიტაცია. გარდა ამისა ლეგალურ პარტიებს და კერძო პირებსაც უფლება ეძლევათ კრებები გამართონ. ცირკულიარი სასამართლოს წესით პასუხის გებაში მიცემას უქადის იმ მოხელეებს, რომელნიც უმაღლესი მთავრობის ნება დაურთველათ არჩევნების თავისუფლებას ხელს შეუშლიან.

**მოხსენების წაკითხვის აკრძალვა.** ადმინისტრაციის განკარგულებით დეპუტატ პრედკალნს აუკრძალეს სახელმწიფო სათათბიროში მოხსენება წაიკითხოს მუშათა კითხვის შესახებ.

**უცნაური მკვლელი.** იუზოვკაში 16 წლის მალინოვსკი თავის ამხანაგ ბარანოვთან მისეირნობდა. მალინოვსკიმ ამხანაგს პაპიროსისთვის ცეცხლი სთხოვა, რაზედაც უარი მიიღო. გულმოსულმა მალინოვსკიმ დანა დაკრა გულში ამხანაგ ბარანოვს და იქვე მოკლა. მკვლელი დაიჭირეს.

**დუმის პრეზიდიუმის შესახებ.** საპარლამენტო წრეებში უკვე დაიწყეს მსჯელობა მომავალი დუმის პრეზიდიუმის არჩევის შესახებ. პეტერბურგში თურმე ხმები დადის, რომ უკიდურესი მემარჯვენეები უარს ამბობენ ხომიაკოვისთვის შავი კენჭის მიცემაზე, როგორც გადაწყვეტილი ქონდათ. მათ დაუდგენიათ კენჭის ყრის დროს სხდომის დარბაზი დასტოვონ.

**დუბროვინის ბროშიურის კონფისკაცია.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ მიერ გამოცემული ბროშიურა „როგორ მე მოიღეს ჩვენში „კონსტიტუცია“ პოლიციამ აკრძალა. მისი ავტორი დუბროვინი პასუხის გებაში მისცეს, მთავრობის უდიერათ მოხსენებისათვის.

**სიკვდილით დასასჯელთა შუამდგომლობა დეპ. კუზნეცოვთან.** ეკატერინოსლავის გუბ. დეპუტატმა კუზნეცოვმა რვა სიკვდილით დასასჯელ კაცისაგან ტელეგრამა მიიღო. მათ სიკვდილით დასჯა ქონიათ გადაწყვეტილი ეკატერინოსლავის რკინის გზის პროცესის გამო. დასასჯელთა ნათესავები ემუდარებიან დეპუტატს იშუამდგომლოს სასჯელის შეცვლაზე.

## საზღვარ-გარეთ

**ისპანიაში ხალხის მღელვარება მატულობს.** „მატენ“-ს მადრიდიდან ატყობინებენ, რომ პროგრესიული პარტიები მთავრობის საწინააღმდეგო კომპანიისთვის ემზადებიანო. ყოველ მხრივ ერთხმათ მოითხოვენ, რომ მთავრობამ კორტესები (პარლამენტი) მოიწვიოს. თუ ოფიციალურ გაზეთებში რამდენიმე დღის შემდეგ მთავრობის ბრძანება არ დაიბეჭდება კორტესების მოწვევის შესახებ, ხალხის მღელვარება ფართო ხასიათს ღებულობს. პროგრესიულ-მონარქისტული და რესპუბლიკანური პარტიები თავიანთ ძალებს თავს უყრიან. მათ შორის მოლაპარაკებაა დემოკრატიული ბლოკის შესადგენათ, რომელიც მთავრობას აიძულებს განსაკუთრებული წესების მისპოს და კონსტიტუციონური გარანტიები აღადგინოს.

**ავსტრიულ სოც.-დემ. სიეზდი რეიხენბერგში.** 7 სექტემბერს რეიხენბერგში დაიწყო ავსტრიელ ს.-დ. პარტეიტაგის სხდომები. პარტეიტაგზე სტუმრებათ ესწრებიან ავსტრიაში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, რომელნიც გერმანიის პროლეტარიატს სოლიდარობას უცხადებენ. გარდა ამისა მოვიდენ წარმომადგენელნი გერმანიის სოც.-დემ. პარტიის და ბუნდის. პირველი სიტყვა ბოსნიის ს.-დ. წარმომადგენელმა წარმოსთქვა. მან თავის სიტყვაში სხვათა შორის აღნიშნა, რომ ანექსიამ ავსტრიის პროლეტარიატს ახალი ამხანაგები შესძინა. მან აღნიშნა თუ რა დევნას განიცდიან ბოსნიის მუშები და განაცხადა, რომ ბოსნია მოუთმენლათ ელის დემოკრატიულ კონსტიტუციას. ადლერი და პერნესტოფერი თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას კრიტიკულათ სთვლიან, მაგრამ, მათი სიტყვით, ავსტრიის პროლეტარიატი ამას არ უფრთხის, პროლეტარიატის პარტია, — სთქვა პერნესტოფერმა, — ერთათ ერთი პარტიაა, რომელსაც შემოქმედებითი მუშაობის უნარი აქვს. პარტეიტაგმა რეზოლიუციები მიიღო, სადაც თანაგრძნობას უცხადებენ შვეციის, ისპანიის და რუსეთის მუშებს.

**ტაფტის მოკვლის განზრახვა.** შეერთებული შტატების პრეზიდენტი ტაფტი მექსიკაში უნდა მისულიყო. იმ შენობაში, სადაც ტაფტი და მექსიკის პრეზიდენტი დიაცი უნდა შეხვედრილიყვნენ, ყუმბარა ნახეს ასაფეთქებლათ გამზადებული. პოლიციამ ბევრი საეჭვო პირი დაატუსაღა.

**დრეზდენის გამოფენა და რუსეთის პოლიცია.** ამას წინათ დრეზდენში გაიმართა საერთაშორისო ფოტოგრაფიული სურათების გამოფენა. ყველა სახელმწიფოებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ გამოფენაში. რუსეთიც არ დარჩა მთლათ შერცხვენილი. პოლიციის სამხედრო(?) გადო განყოფილებაში რუსეთმა ყველაზე მეტათ ისახელა თავი. აქ, როგორც რაოდენობით, აგრეთვე თვისებით პირველობა რუსეთის პოლიციის დეპარტამენტს ქონდა. მისი ექსპონატებით (გამოფენაზე გაგზავნილი ნივთებია) ოთახის ორი კედელი იყო დაკავებული იმ დროს, როდესაც საფრანგეთის და ინგლისის პოლიციას ერთათ მხოლოდ ერთი კედელი ეჭირა. ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შესძლო იმდენი სურათები წარმოედგინა დახოცილ ანარქისტებისა, ექსპროპრიატორებისა, ჯიბგირებისა და ათასგვარი სხვა დამნაშავეებისა, როგორც რუსეთმა შესძლო.

# ახალი ამბები

—

**თფილისის ტრამვაი.** ტრამვაის მოსამსახურეებსა და დირექციას შორის დამოკიდებულება თანდათან მწვავდება. მოლაპარაკებიდან არა გამოდის რა. ამიტომ მოსამსახურეებმა საერთო კრების გამართვის ნებართვა აიღეს ადმინისტრაციისაგან. ამ კრებამ უნდა განიხილოს ტრამვაის ადმინისტრაციის მიერ წამოყენებული ახალი პირობები. ტრამვაის დირექცია კი წინააღმდეგია ასეთი კრების და არ აძლევს მოსამსახურეებს უფლებას შეიკრიბონ ტრამვაის სასადილოში.

— ეს მესამე დღეა, რაც მოჰყავთ სხვადასხვა პირები და მათ ვაგონებზე მუშაობას ასწავლიან. ალბათ, ფიქრობენ, თუ ვინიცობაა, ტრამვაის მოსამსახურეები ვერ შეთანხმდენ დირექციასთან, მუშაობაზე ესენიც გამოდგებიანო.

**კახეთის რკინის გზა.** რკინის გზ. გაყვანის შესახებ სამუშავოები უკვე დამთავრდა. 1 ოქტომბრის შემდეგ, ინჟენერი ანდრიანოვი, რომელსაც გაჰყავს გზა, პროექტებით გაემგზავრება პეტერბურგში, სადაც საბოლოოთ გადაწყდება საკითხი, თუ რა მხრით იქნება გაყვანილი გზა. მომავალ გაზაფხულიდან შესაძლებელია შეუდგენ მიწის სამუშავოებს.

---

ტურ ფილოსოფიით. თითონ ფრიდრიხ ენგელსი ერთ თავის ცნობილ წიგნაკში გაბედულათ აცხადებს, რომ გერმანიის სოციალისტები ვამაყობთ მარტო იმით კი არა, რომ ჩვენი იდეოლოგია სენსიმონ, ფურიესა და ოვენიდან მომდინარეობს, არამედ იმითაც, რომ იგი მომდინარეობს კანტსა და ჰეგელიდამაცო*). სხვაფრივ, ფრიდრიხ ენგელსმა ისტორიული მატერიალიზმის თეორია მხოლოდ მეთოდოლოგიურათ დაუკავშირა ემპირიულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას და არა ნატურალურ ფილოსოფიას. იგი, „ანატი დიურინგის“ წინასიტყვაობაში და ფეიერბახში ამბობს, რომ ის წინააღმდეგია ნატურალურ-ფილოსოფიის, ზედმეტ სიბრძნეთ აღიარებს, რადგან თვით ემპირიული საბუნებისმეტყველო მეცნიერება ბუნების მოვლენების ურთიერთაშორის დამოკიდებულობას უფრო სისტემატიურათ ალაგებს, უფრო ლოღიკურ სისტემაში მოყავს, ვიდრე ნატურალურ-ფილოსოფიას. ენგელსს უნდოდა ასეთსავე სისტემაში მოეყვანა, ასეთსავე წესით ისტორიული მოვლენების დალაგება. კ. მარქსი „წმიდა ოჯახის“ სხვადასხვა ალაგებს ეკონომიურ კატეგორიას ხშირათ ადამიანის ნივთიერ გამოხატულობას უწოდებს, რომელიც ადამიანისგან შემდეგში დამოუკიდებელი ხდება და მის წინააღმდეგ, როგორც გარეშე პოტენცია (ძალა) საკუთარ პოზიციას იკავებს. ამგვარსავე ადამიანის გარეშე გამოხატულობას უწოდებს ისტორიულ იდეოლოგიას, როგორც მაგ. რელიგიას, პოლიტიკას ანუ ორგანიზაციულათ შეკავშირებულ საზოგადოებას.

როგორც მოკლე განხილვიდან დავინახეთ, ისტორიულ და ნატურალურ-ფილოსოფიური მატერიალიზმი ერთი მეორედან არსებითი განსხვავდებიან, ერთი მეორიდან განირჩევიან.

გადავიდეთ საკვლევ საგნის პოზიტიურ განმარტებაზე. ჩვენ ზევით უკვე ვსთქვით, რომ მარქსსა და ენგელს ისტორიული მატერიალიზმის თეორიაზე განსაკუთრებული წიგნი არ დაუწერიათ. ვგონებთ, ასეთი წიგნის დაწერა არც საჭირო იყო! ისტორიული მატერიალიზმის სახით მათ მოგვცეს ერთნაირი ემპირიული კვლევითი მეთოდი ისტორიულ მოვლენების ასახსნელათ და ეს თეორია კი მარქს-ენგელსის მოძღვრების მთავარ შინაარსს შეადგენს, ამ დებულებაზეა აშენებული მთელი მათი ლიტერატურული ნაწარმოები. ასე რომ, ამ შემთხვევაში ბურჟუაზიული ფსევდო-მეცნიერების ცრუ ხმები, ვითომ მარქს-ენგელსი უბრალო დილეტანტები იყვენ, რომლებიც დროგამოშვებით, ხალხის თვალის ასახმელათ, პატარა ექსკურსიას აკეთებდენ ისტორიის გამოსაკვლევათ, ისტორიული მატერიალიზმის დასამტკიცებლათ, მტკნარი სიცრუეა. კარლ კაუცკი აი, რას შენიშნავს ამის შესახებ: მარქსის „კაპიტალი“ უწინარეს ყოვლისა, ნამდვილი ისტორიული ნაწარმოებია, მთავარი ისტორიული შრომაა, დაუშრეტელი საუნჯეა, რომლითაც ჯერ სრულიად არ უსარგებლნიათ. ასევე ითქმის ფრიდრიხ ენგელსის თხზულებებზე, რომლებიც ერთობ მრავალ ისტორიულ მატერიალს (მასალას) შეიცავს, ვიდრე ამას აკადემიურათ გაბრძენილი მეცნიერი წარმოიდგენდა. უკანასკნელები ენგელსის ნაწერებიდან, ოსტატურათ ამოგლეჯენ, ერთ რომელიმე, განგებ დამახინჯებულ ფრაზას და მთელ ქვეყანას იერიქონის საყვირით აუწყებენ: ენგელსის თხზულებაში ბევრი ისტორიული წინააღმდეგობააო. მეტათ ნაყოფიერი და სასარგებლო შრომა იქნებოდა, ამბობს ფრანც მერინგი, თუ ვინმე იკისრებდა მარქს-ენგელსის მიერ თავიანთ ნაწერებში გამოთქმულ ისტორიულ შეხედულობებს სისტემატიურათ დაალაგებდა. დიახ, მარქს-ენგელსი, როგორც დავინახეთ, დილეტანტები არ ყოფილან, მათ თავიანთი თეორია ისტორიულათ დაუმტკიცებიათ, განუმარტავთ.

მარქს-ენგელსის ისტორიული მატერიალიზმის მსოფლ-მხედველობას პირველად ყოვლისა, წინ უძღოდა, ეგრეთ წოდებული **თეოლოგიური** შეხედულობა. ამათ აზრით ღმერთი ანუ ღმერთები არის სამყაროს შემოქმედი. რაც ხდება და კეთდება ყველა მათი განგებით. ასეთ მსოფლ-მხედველობას ნიადაგი აღარ აქვს, აზროვნების ბაზარზე მოსპო ყოველგვარი გასავალი. ამისათვის დასახელებულ შეხედულობის დაწვრილებით განხილვას გვერდს ვუხვევთ და პირდაპირ გადავდივართ მეორე, უფრო გასავლიან და ძლიერ მსოფლ-მხედველობაზე. უკანასკნელ შეხედულობამ ღმერთების მაგიერ თავადები და სამხედრო გმირები წამოაყენა, რომლების ნება-სურვილის მთელი ისტორიის მამოძრავებელი ჩარხი, ასეთი დინასტიური მსოფლ-მხედველობა ძალიან ადვილი ასახსნელია. სანამ ადამიანის აზროვნება, ადამიანის შემეცნება-შეხედულობა განუვითარებულია, იგი ყველაფერს თავისებურათ განიხილავს. თვით გარეშე ქვეყნის მოქმედებაც კი მას თავის გამიზნულ სურვილის გამომხატველი გონია, ყველა მის სურვილისამებრ ბრუნავს-ტრიალებს; ისტორიის მოძრაობაც, ამ ქვეყნის ძრიელთა ნებით არის გამოწვეული, რომლების ხელში მთელი ხალხი მხოლოდ ბრმა იარაღები არიან.

საშუალო საუკუნის ფეოდალ-აბსოლიუტურ წეს-წყობილებას ასეთი ისტორიული მსოფლ-შეხედულობა ძალიან შეეფერებოდა. ხალხში ასეთ შეხედულობას დაცვა-გაძრიელება მეფე მთავრების მთავარ მიზანს შეადგენდა. ეს შეხედულობა დღესაც გამეფებულია ჩვენი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში. ისტორიის მასწავლებელი ახალ-გაზდა მოსწავლეებს მეფეების და სამხედრო გმირების მოქმედების ქრონოლოგიას უაზროთ ამოაზეპირებენ, ვითომ და მათი მეოხებით ისტორიული პროცესი წარმოიშვა! ამისათვის ამ ყოფლად უსაფუძვლო ისტორიულ შეხედულობას წინააღუდგა მეთვრამეტე საუკუნის, ეგრეთ წოდებული ოპოზიციონერული ფილოსოფიური მოძღვრება. იგი წინაღუდგა არა მარტო გაბატონებულ შეხედულობას, არამედ თვით გაბატონებულებსაც. მეთვრამეტე საუკუნის ოპოზიციონერულ ფილოსოფია ცდილობდა ერთის და მეორის ავტორიტეტი დაეცა, მაგრამ ამათაც მალე დიდი მარცხი მოუვიდათ; ისტორიის მამოძრავებელ ძალათ, მეფესა და სამხედრო გმირების ნაცვლათ, იდეია დაისახეს, ამ ჯურის ფილოსოფოსების შეხედულობით, კაცობრიობის ისტორიას მეფე-სამხედრო გმირები კი არა, არამედ დიდებულნი ფილოსოფოსნი ამოძრავებდნენ. ალექსანდრე მაკედონელს, იული ცეზარს მოხადეს პირველობის გვირგვინი და მათ მაგიერ აზროვნების პირებს: სოკრატს, პლატონს, არისტოტელს, სენეკას დაადგეს თავზე. მაგრამ ესენი მარტო ამით არ დაკმაყოფილდნენ, განვითარების გზაზე ერთი ნაბიჯი კიდევ წინ გადადგეს. მათ თავიანთი ყურადღება გარდა ისტორიისა ხალხის ცხოვრებასაც მიაქციეს. სახელმწიფოს მოქმედების, სახელმწიფოს დიპლომატიურ მოღვაწეობის გამოკვლევით არ დაკმაყოფილდნენ, ამასთან იკვლევდნენ იმ პირობებს ურთიერთობას, რომელიც გაბატონებული იყო ხალხში, არა თუ ამ ისტორიულ ხანაში; იკვლევდნენ მის ზნე-ჩვეულებას, მის ხელოვნებას და მეცნიერებას—ერთი სიტყვით, მის მთელი კულტურას. ასე წარმოსდგა ისტორიული მოძღვრება „კულტურის ისტორია“. ამ ისტორიული მეთოდის საშუალებით ისტორიის კვლევა დღეს დიდ მოდაშია, მეტათ მოწონებულია, განსაკუთრებით კი დაწინაურებულ ქვეყნებში, ასე რომ, დღეს ამ მეთოდის საფუძვლიანობაში ღრმათ დარწმუნებულია მთელი ბურჟუაზიული მეცნიერები. მაგრამ მარქსისტები დიდათ ეწინააღმდეგებიან ამნაირ შეხედულებასაც, ვინაიდან კულტურის ისტორიის მეთოდმა, ისტორიის ახსნა-განმარტებაში ერთი ღონიერი ნაბიჯი, წინ კი არა, უკან გადადგა. მართალია, ძველი ისტორიკოსები ისტორიის განვითარების ძალას ყალბი გზით ეძიებდნენ, მაგრამ მათ მაინც არ ავიწყდებოდათ, რომ საქმე თვით განვითარებასთან აქვთ. კულტურის ისტორიის დამწერნი კი, მთლათ წინააღმდეგ, განვითარების მომენტს სრულიათ უყურადღებოთ სტოვებდენ და მხოლოდ ისტორიის პირობების და მდგომარეობის აღწერას ეძლეოდენ. ადამიანს თუ რა აბსურდამდის მიიყვანს დასახელებული მკვლევითი მეთოდი, ამას ახლავე დავინახავთ.

ცნობილია, რომ ევროპის ისტორიულმა მსვლელობამ, ამ ასი წლის განმავლობაში მრავალი პოლიტიკური სოციალური ცვლილებანი განიცადა. ახლა თუ რომელიმე ისტორიკოსი მოისურვებდა აწმყოს და წარსულ ისტორიულ მოვლენების ერთმანეთში არევას, ეს ერთობ სასაცილო და სამარცხვინო რამ იქნებოდა. ვთქვათ, ამბობს კაუცკი, რომელიმე კულტურის ისტორიკოსმა „ძველ ეგიპტის კულტურაზე“ გამოკვლევა დასწერა. მკვლევარმა ყველა ცნობები, თუ კი რამ ამ საგნის შესახებ მოიპოვებოდა, დაწვრილებით გადმოგვცა, ამასთან ვსთქვათ მისი ისტორიული გამოკვლევა მთელ სამი ათასი საუკუნეს ცხოვრებას შეეხება მერე განა, კითხულობს იგივე კაუცკი, ასეთი აღწერა ეგვიპტის კულტურის საერთო სურათს მოგვცემდა? ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტის და საზოგადოთ კაცობრიობის ისტორიამ მთელი სამი ათასი საუკუნის განმავლობაში დიდი პოლიტიკური, სოციალური და ტეხნიკური რევოლიუცია (ცვლილება) განიცადა. ასე რომ, დასახელებულ საუკუნების პირველ ხანებს უკანასკნელ საუკუნოებთან ისეთივე მსგავსება ექნებოდა, როგორც კარლო დიდის დროს ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს დროსთან. ასეთია რასაკვირველია, ამქრული მეცნიერების კვლევითი მეთოდი. მხოლოდ მარქსმა თავის ეპოქის აღმოჩენით, რომლითაც ისტორიული კვლევა მკიდრო ნიადაგზე დააყენა. მარქსმა ევოლიუციის პრინციპი ისტორიაში ადრე შეიტანა, ვიდრე დარვინმა საბუნების მეტყველო მეცნიერებაში. განვითარების ფაქტორათ „ბრძოლა არსებობისათვის“ მარქსმა დარვინზე ადრე აღიარა, მაგრამ ბრძოლა „ყველასი ყველას წინააღმდეგ“ კი არა, არამედ ბრძოლა ადამიანისა, როგორც სოციალურ ცხოველისა სოციალურ საზოგადოებაში, ერთი სიტყვით: **კლასთა ბრძოლა.**

ვ.

*) ფრიდრიხ ენგელსი: „მეცნიერული სოციალიზმის განვითარება“.

✦ **სახ. უნივერსიტეტის გამგეობის სხდომა.** ორშაბათს, 14 სექტემბერს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მორიგი სხდომა. კრებამ განიხილა ქალაქის გამგეობის განცხადება, რომ სახ. უნივ. გამგეობამ 27 სექტემბერს სახალხო სახლში არ გამართოს ლექცია, ვინაიდან ამ დღეს იქ გაიმართება სომეხ ბავშვებისათვის დღესასწაულიო. კრებამ დადგინა: ამ დღისათვის გაანთავისუფლოს სახ. სახლის შენობა. ამის შემდეგ განხილულ იქნა საკითხი გასულ 1908 წ. ანგარიშების შედგენის შესახებ. კრებამ დაავალა გამგეობის თავმჯდომარეს ვ. რცხილაძეს შეადგინოს ანგარიშები, ხოლო მის მოსაწესრიგებლათ აირჩია სარევიზიო კომისია. კომისიაში არჩეულ იქნენ: ვ. რცხილაძე, პ. ქიქინაძე და ექ. ფეოდოროვი. დასასრულ კრებამ დაადგინა 20 სექტემბრიდან დაიწყოს სისტემატიური ლექციების კითხვა, თუ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზები არ იქნება.

✦ **სამსახურიდან დათხოვნა.** სამაზრო სამხედრო საკრებულოების რევიზიის შემდეგ დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან თფილისის მაზ. სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი დოდაევი, თელავის — თავ. ანდრონიკაშვილი და სიღნაღის როსტომოვი.

✦ **არტისტი ვ. შალიკაშვილი** 14 სექტემბერს გაემგზავრა მოსკოვის დრამატიულ კურსებზე. მას, როგორც ვიცით, დახმარება აღუთქვა ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, ხოლო ეხლა მიიღო ერთდროული დახმარება ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან. ვ. შალიკაშვილი შეივლის ბაქოს, სადაც გამართავს წარმოდგენას თავის სასარგებლოთ.

✦ **გადასახლებული ტრამვაის მოსამსახურეები.** შარშან ივლისში, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, ადმინისტრატიული წესით გაგზავნეს თფილისის ტრამვაის კონდუკტორ-ვატმანები, რიცხვით 60 კაცამდე. მათ მაშინ ტრამვაიდან მიიღეს 1 თვის ჯამაგირი, ხოლო შემდეგ ეგზავნებოდათ თითო თუმანი დახმარება. ეხლა კი, თფილისის ტრამვაის ახალი დირექტორის ბატაის განკარგულებით მათ შეუწყვიტეს ეს დახმარება.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ თავის მხრივ არ ექნება არავითარი დაბრკოლებანი განსვენებულ ყოფილ ქალაქის თავის ა. მატინოვის დაკრძალვის შესახებ ქალაქის საბჭოს სხდომის დადგენილებათა სისრულეში მოყვანას,

✦ **უბედური შემთხვევა.** 14 სექტ. ელისაბედის ქუჩაზე მუშა არაქელ ელგატოვმა მოინდომა გაქანებულ ტრამვაის ვაგონზე შეხტომა, მარა ფეხი გაუსხლტა და ჩავარდა ვაგონს ქვეშ. ვაგონმა მარჯვენა ფეხი სრულიად მოსტეხა და საშინლათ დაუჩეჩქვა გულის ფიცარი, რის გამო მან იმ წამსვე დალია სული. განსვენებულის გვამი გაგზავნეს საავათმყოფოში.

✦ **ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა შეპყრობა.** 12 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა საგენერალგუბერნატოროდან ადმინისტრატიული წესით გადასახლებული რუბენ ავალიშვილი და არსენ ლებანიძე, ხოლო 14 სექტემბერს გიორგი ედილაშვილი და გრ. პერეკუზოვი. მათ პასუხისგებაში აძლევენ.

✦ **საუბარი „ბუნების მოვლენებზე“.** სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ი. აკუნოვმა მოაწყო თავის მოსწავლეთათვის საუბარი „ბუნების მოვლენებზე“. საუბარი იქნება სისტემატიური. პირველი ლექცია წაკითხულ იქნა კვირას, 13 სექტემბერს „წყლის“ შესახებ.

✦ **სამგლოვიარო წერილები.** სევ. ჯუღელის გარდაცვალების გამო სამგლოვიარო წერილები მივიღეთ: მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატ კ. ა. რუბანისაგან, ბართლომე ხელაძისაგან, მაქ. გოშუასაგან, კირილე კორშიასაგან, იაგორ თავდგირიძისაგან და სპ. ქელისაგან.

✦ **მოკლული კაცის გვამი.** 14 სექტემბერს მუშტაიდის ბაღში იპოვეს მოკლული კაცის გვამი, რომლის ვინაობა ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

✦ **უპასპორტოები.** 12 სექტ. 1-ლ საპოლიციო ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 4 უპასპორტო, მე 9 საპ. ნაწილში,—21. 14 სექტემბერს მე 3 საპ. ნაწილში დააპატიმრეს 16 კაცი.

✦ **თავდასხმა.** 14 სექტ. რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოს ზეინკალმა, ოზურგეთის მაზ. მცხოვრებ დავით ვაჩეიშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ საღამოს 6 საათზე, მაგისტრალნი ქუჩაზე ილიკო ძიმაშვილის დუქნიდან გამოვარდა თფ. მცხოვრები ალექსანდრე ფეიქრიშვილი და დაუყვირა „ხელი მაღლა“, ამოაცალა ჯიბიდან 50 კაპ. და გაიქცა. პოლიციამ ფეიქრიშვილი დააპატიმრა.

✦ სევ. ჯუღელის ოჯახობის სასარგებლოთ მივიღეთ ს. დიდი ჯიხაისში დავ. ლ. ქილაძის მიერ შეგროვილი 7 მან. 75 კ.

## კიდევ ქართულ თეატრ. სექციის შესახებ

(ბ-ნ ს. ტოროშელიძის წერილის გამო).

როგორც ბ-ნ ტოროშელიძის ვრცელ წერილებიდან სჩანს, თავი და თავი მიზეზი სექციის არევ-დარევის და უთანხმოებისა ჩვენ, მუშები გყოფილვართ. ვინაიდან, როგორც თვითონ ტოროშელიძე ბრძანებს, უცოდინარნი და ლიტერატურასთან მწყრალათ მყოფნი გვყავდენ სექციაში, რომელნიც არ დაიარებოდენ კრებებზე წესიერათ და თუ მოვიდოდენ, ისიც მთვრალები, რაიც შენიშნა თვით ქ. რომანიშვილმაო.

და აი ამისთანა მცოდნე პირების ხელში რომ საქმე არ დაღუპულიყო ჩვენ „საქმისადმი გულშემატკივრებმა“ (?) მოვილაპარაკეთ თუ რა გზას დავდგომოდით, რომ საქმე არ დაღუპულიყო, ჩვენი აზრი გავუზიარეთ ქ-ნთ დემურიას და რომანიშვილს, რომელნიც ჯერ დაგვეთანხმდნენ და შემდეგ კი გვიგეცეს და ამნაირათ აამხედრეს ჩვენს წინაამდეგ ის წევრები სექციისა, რომელნიც უნდა გაგვეძევებინათ.

ეხლა ვეკითხებით ბ-ნ ტოროშელიძეს: თუ ჩვენ (მუშები) სექციის წევრნი გვყავდით უცოდინარნი, ლიტერატურასთან მწყრალათ მყოფნი და თეატრის საქმისა არა გაეგებოდა-რა, მაშ, რადით მიგვიწვიეთ სექციაში თქვენთან ერთად სამუშაოთ? ნუ თუ იმიტომ, რომ გემუშავებინეთ იქ, სადაც საჭიროა ვიყავით და ბოლოს კი საზოგადოებაში საჯაროთ გაგვეძაძღეთ! *) ზოგი იმიტომ გვსურდა დაგვეთხოვა, ამბობს ბ. ტოროშელიძე, რომ სექციაში ჯამაგირიანი ადგილი სურდათ მიეღოთო. ეს წინადადება ბ. გოცირიძემ შემოიტანა კრებაზე, რომ სცენარიუს უთუოდ დაენიშნოს ჯამაგირიო. სექციამ მიიღო ეს წინადადება და კენჭის ყრის დროს თქვენც და ბ. სვირელმაც მიეცით ხმა უყოყმანოთ. და თუ რომელიმე სექციის წევრი იკისრებდა ამ თანამდებობას თავის-თავათ ცხადია, სექციიდან უნდა გასულიყო, ვინაიდან ასევე მოექცა სექცია ალ. ბადრიძეს. (წინეთ ა. ბადრიძე სექციის წევრი იყო). კრებაზე მთვრალები დაიარებოდითო ამბობთ ბ. ტ—ძევ, არასოდეს არ მომხდარა რომ სისტემატიურათ მთვრალი ეგდოს ვინმე კრებაზე;

ერთათ ერთი შემთხვევა იყო ასეთი მოვლენისა და მასაც თავისი მიზეზი ჰქონდა თუმცა, რასაკვირველია, ჩვენ არც ამას ვამართლებთ. (თუ საჭიროა დაინახავს ბ. ტ—ძე აღვნიშნავ) კრებებზე არ იარებოდენ წესიერათო, არც ეს არის მართალი. როდის იყო, რომ წესიერათ გვატყობინებდით როგორც მდივანი სექციის და ჩვენ არ დავიარებოდით? თქვენ მუდამ სცდილობდით მოგეშორებიათ სექციიდან ხელოვნურათ ყველა მუშები, თქვენთვის არა-სასურველნი, რასაც ჩვენ ნათლათ ვამჩნევდით ასეთ თქვენს საქციელს. კომისიამ, რომელსაც უნდა მოეწყო ბილეთების გაყიდვა, ვერაფერი გაარიგაო იხსენიებთ. ერთათ-ერთი მუშათა დარგი რკ. გზის მთავარი სახელოსნოა იქ'ც კი არ იყიდებოდა და ხშირათ უკან აბრუნებდენ და აბა რა გასაკვირველია, რომ კომისიამ ვერაფერი გააწყო; დუქან-დუქან ხომ არ დაივლიდა ბილეთების გასასყიდათ შანტაჟისტებივით?

ქ.ქ. დემურიამ და რომანიშვილმა გაგვცესო განაგრძობს ბ. ტ—ძე. რადგანაც როგორც ქ. რომანიშვილის წერილიდანაც სჩანს, რეორგანიზაციის მაგივრათ ჩვენ (მუშა) სექციის წევრების განდევნა სურდათ და რეორგანიზაციას კი იმიზეზებდენ, ამიტომ წინ აღუდგენ ზემოთ დასახელებული პირები მათ განზრახვას და განა ასეთ საქციელს ქ. დემ. და ქ. რომანიშვილისას ეწოდება გამცემლობა. ბ. ტ—ძეს და კომპანიას რომ ანტი-დემოკრატობა არ გამოსვლოდათ მოიწვევდენ ჩვენს მაგიერ „უფრო—მცოდნე დიპლომიან მუშებს“. სხვათა-შორის ერთ ისეთ პირს, მუშას რასაკვირველია, რომელიც რეცენზიებს სწერს გაზეთში, (ხშირათ უთქვამს ბ. ტ—ძეს: მუშა რეცენზენტებს იმდენი გაგებათ თეატრისა და რეცენზიის წერის რამდენიც მე ჩინური ენისაო) ვუმტკიცებ: მუშების მოწვევა უფრო სარგებლობა სურთ ვინემ მათთან ერთად სოლიდარული მუშაობა.

დასასრულ არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი: როდესაც გადაწყდა რეორგანიზაცია სექციის და კითხვა დაისვა კომისიის არჩევის პირველი მომხრე თქვენ იყავით ბ-ნო ტ—ძევ კომისიისა. ალბათ, იმედი გქონდათ, რომ თქვენ და თქვენი კომპ. გახვიდოდით კომისიაში, და რომ დაინახეთ კომისიის წევრათ ვერ გახვედით, მოჰყევით ყვირილს: არიქა საქმე საზოგადო, იღუპება და შველა უნდაო. თურმე ნუ იტყვი მკითხველო, სახალხო თეატრის საქმე დაიღუპება ს. ტ—ძე და კომპ. რომ არ იყვნენ.

გასო ლაშქარაშვილი.

P. S. ვაცხადებთ ბ-ნ რეცენზენტის საყურადღებოთ, რომ სექციას არასოდეს აზრათაც არ მოსვლია ბ-ნ გოცირიძის გაძევება და თუ რეორგანიზაციის შემდეგ სექციის გარეშე დარჩებოდა როგორც მასთან ერთათ ზოგიერთნიც, ეგ იმას არ ნიშნავს, რომ სცენაზე არ შეეძლო ეთამაშნა, როგორც სცენის მოყვარეს. *) გ. ლ.

*) წინათ ჩვენ სუყველანი ვმორიგეობდით და ყველა იმ მოვალეობას, რასაც ეხლა სექციის დაქირავებული კაცი ასრულებს ჩვენ ვასრულებდით.

## სტამბის ქართველ მუშა ხელოსნებს

ქართული სტამბის არსებობის საქმე ისე არავისთან არის დაკავშირებული, როგორც სტამბისავე ხელოსნებს და მუშებთან. ამიტომ საჭიროა და თან ზნეობრივი ვალდებულებაც არის, რომ ქართული სტამბის 200 წლის არსებობის დღესასწაულს ქართული სტამბის მუშებმა და ხელოსნებმაც მიაქციონ ყურადღება.

წელს შესრულდა 200 წელიწადი, რაც თფილისში ვახტანგ მეექვსემ პირველათ ქართული სტამბა გახსნა.

ამაზე წინეთ, 1627 წ. რომში გაიხსნა ქართული სტამბა პაპის ურბან VIII-ის დახმარებით, მოსკოვს გახსნეს 1787 წ., პეტერბურგს 1786 წ., კრემენჩუგს 1792 წ. ვენეციას 1850, კონსტანტინოპოლს 1870 წ. ფრანციას (მონთობონი) 1877 წ. იმერეთში 1771 წ. და სხვანი.

თფილისში გაიხსნა და წიგნებიც დაიბეჭდა 1709 წ.

ამ 200 წლის შესრულების გამო ქართულ გაზეთებში ლაპარაკიც იყო. ისურვეს მისი დღესასწაულის გადახდა. ბევრი ლაპარაკის შემდეგ, საქმე „ქართულად გათავდა“—მივიწყებით, მიგდებით, იქით გადადებით.

ამიტომ მივმართავ სტამბის ხელოსნებს და მუშებს და გავახსენებ ამ დღის მნიშვნელობას და მის რამე საკუთილდღეო საქმით აღნიშვნას. ჩემის ფიქრით კარგი იქნება რომ მოხერხდეს შემდეგი:

200 წლის სტამბის არსებობის გამო და იმ პირთა მოსაგონებლათ დაინიშნოს რამე დღე და მოგონებულ იქმნეს ის პირნი, რომელთაც შრომა დასდეს სტამბის გახსნასა და წიგნების ბეჭდვის საქმეს.

მეორე: ხელის მოწერა იქმნეს გამართული, მოგროვდეს ხელის მოწერით ფული რამე შესანიშნავი წიგნის დასაბეჭდათ. იმედია, რომ ასეთ საქმისთვის ყველა გაიმეტებს რამეს და გამოსაცემად წიგნზე ხელს მოაწერს.

მესამე: მოგროვილი ფულით დასაბეჭდი წიგნი თუ წიგნები უსათუოდ გადაეცეთ ისეთ სტამბის ხელოსნებს, რომელნიც დღეს უმუშევრათ არიან დაშთენილი.

მეოთხე: წიგნის დაბეჭდვის შემდეგ, წიგნები დაურიგდეს ხელის მომწერთ და მის გარდა რაც წიგნები დარჩება და გაისყიდება, მისი ხვედრიც გადაეცეს სტამბის ისეთ მომუშავე ხელოსანთ და მუშებს, რომელნიც უსაქმოთ არიან დარჩენილი, ან ავად არიან და პურის ფული უჭირთ.

ქართული სტამბის ისტორია მოკლედ მე უკვე დავბეჭდე. ეხლა ვბეჭდავ მეორე წიგნს სტამბის ისტორიას, რომელიც ვრცელია. ამ საქმეში, სტამბის ხელოსნებთან ერთად მეც შემიძლია მივიღო მონაწილეობა. ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი კრების მოხდენა, მოლაპარაკება და საქმის გადაწყვეტა.

დარწმუნებული ვარ, რომ სტამბის ხელოსნები და მუშები ამ საქმეს ადვილათ მოახერხებენ, თუ კი მათ საქმის შესრულების სურვილი აღეძვრით. ზ. ჭ.

*) იხ. რეცენზია შილლერის „ყაჩაღები“, გაზ. „მომავალი“ № 11.

## პროვინცია

**სოფ. ოფეთი** (იმერეთი). ყველასათვის ცხადია, თუ რამდენათ საჭიროა სოფლის გზა გლეხ-კაცისათვის, მაგრამ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი, სახელდობრ, ოფეთელები ყურსაც არ იბერტყენ და „ღ⸗ფშ⸗ ნაფ ლოდი ურემი შინ მიტანილი ჰგონიათ“. რამდენი დაბრკოლებები, რამდენი უსიამოვნება და გაჭირვება ელობებათ წინ, როდესაც ჭალიდან სახლში ნაჭირნახულევი მიაქვთ, მაგრამ იმდენი ვერ მოუფიქრებიათ, რომ საურმე გზა მაინც გაიყვანონ და მით მომავალში აიცილონ ყველა ეს დაბრკოლებები. სკოლასა და ბიბლიოთეკას ვინ ჩივის, რომ გზა მაინც ქონდეთ რიგიანი და ეს უფრო ესაჭიროებათ იმათ, ვინც მთაში ცხოვრობენ. მუხაურის საზოგადოების განცალკევებიდან დაწყებული სოფ. ოფეთამდე და ფირან გოგიშვილის ეზომდე არამც თუ დატვირთული ურემი ვერ გაივლის, ცარიელსაც კი უჭირდება და ცხენოსანისათვისაც კი სახიფათოა ამ გზით გავლა. რასაკვირველია, ამას თვით მცხოვრებლებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, თორემ მათ რომ გულ-ხელი დაიკრიფონ და ადგილობრივ ადმინისტრაციას დაეყრდნონ, ეს უკანასკნელი მათთვის თავს არ გაიცხელებს და გზას არ გაუკეთებს. საჭიროა საზოგადოებამ თვითონვე უშველოს თავის თავს და საერთოთ შეუდგენ გზის გაყვანას. ხიმონი.

**ს. მეტეხი** (გორის მაზრა). გაზეთ „მომავალი“-ს მე-3 №-ში მოთავსებულმა კორესპონდენციამ აქაურ შავრაზმელთა ბანაკში დიდი ალიაქოთი და არევ-დარევა გამოიწვია, ჯერ იყო და მასწავლებელი გალანძღეს: როგორ გაბედე ჩვენი ცოდვების გამომჟღავნებაო, მერე მას თავი დაანებეს და დავით კალატოზიშვილზე მიიტანეს იერიში. მღვდელი ბიძიაშვილი პირდაპირ, საჯაროთ დაემუქრა კალატოზიშვილს: თუ შენ კარგათ არ გაგიტეხეშინე სტრაჟნიკებს და შემდეგ ციმბირში არ გიკარ თავი, მე კაცი აღარ ვყოფილვარო. ამ გაჭიბატონებისთვის კულტურული საზომი არ არსებობს! ამათ იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა არ შესწევთ, რომ ან გაზეთით, ან სხვა რამ კულტურული გზით იმართლონ თავი და სულ სხვა საშუალებებს ეძებენ.

— მთელ ახალქალაქის საბოქაულოში შესდგა ეგრეთ წოდებული სტრაჟნიკთა მფრინავი რაზმი ჩვენი სოფლის ყოფილი მამასახლისის დ. ვეზირიშვილის მეთაურობით, ჩვენ მამასახლისათ კი იმისი ძმა, ლევან ვეზირიშვილი დაგვიყენეს, ზემოხსენებული მფრინავი რაზმი, რომელიც 18 სტრაჟნიკისა და ერთი ურიადნიკისაგან შესდგება, დადიან ერთი სოფლიდან მეორეში, მთელ საბოქაულოში, რომ „მავნე მიმართულების“ პირმა არსად გაიაროს. ამბობენ, ამ მფრინავი რაზმის ხარჯიც სოფლებმა უნდა იხადონო. ეს-და გვაკლდა; ისედაც მრავალი ხარჯებით დატვირთულ გლეხს რადა ეს უნდოდა, როცა სხვა ხარჯებსაც ვეღარ იხდის. ეს მე ვარ.

## მუშათა შორის

**ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა.** ბოზარ. ქარხანაში 400-დე მუშა მუშაობს. დღევანდლამდე ასე თუ ისე ხელსაყრელ პირობებში მუშაობდნენ. დღეს კი ბ. ბოზარჯიანცმა წაართვა ყველა ის, რაც დღემდე ბრძოლით ჰქონდათ მოპოვებული. დღემდის ხაზეინს არ შეეძლო დაეთხოვა მუშა მუშების დაუკითხავათ. დღეს კი ყველას თითუღათ ვისაც მოისურვებს, იმას ითხოვს სრულიათ უმიზეზოთ. დათხოვნილთა ადგილზე მოყავს მუშა-ქალები, რომელთა დღიური ხელფასი განისაზღვრება 30 კ.—40 კაპ. მოსპო ფაქტიურათ მედიცინური დახმარება და ავათმყოფ მუშების ნახევარი ჯამაგირის მიცემა. ეს ხდება არა პირდაპირადაც ექიმის წყალობით. მოსპო აგრეთვე სამუშაო ხალათები, რომელიც ეძლეოდათ მუშებს წელიწადში ერთხელ, აბანოს ბილეთები თვეში ერთხელ და „პორცია“ (ასმუშკა) თამბაქო, რომელიც ეძლეოდათ ერთხელ ყველა თუთუნის მწეველ მუშებს ყოველ კვირაში. დაუკლო ფასები ზოგს ნაჭრათ მომუშავე მუშებს მაგ. თამბაქოს ჩამწყობ მუშებს დაუკლო ერთი შაური ფუთზე და ასევე სხვებს.

ყველა ამ ზემოხსენებულ უფლებების წართმევა ხდებოდა ამ წლის ნელ ნელა და მუშებიც, სამწუხაროთ, ყურადღებას არ აქცევდნენ ასეთ მდგომარეობას. ან კი როგორ უნდა მიაქციონ ყურადღება იმათ, ვინც დოთიბაში, კარტში და სხვა ასეთ უმსგავსო საქმეებში არიან გართულნი. მართალია, ასეთები უმცირესობა არის, მაგრამ მაინც საგრძნობელ რიცხვს წარმოადგენს.

ხაზეინიც სარგებლობს შემთხვევით და სულ მთლათ ასპარეზს დაუფლებს ვეში საუგდევს მუშებისგან სისხლით და ოფლით მოპოებულ უფლებებს. ამას დაემატა აქციზის მომატება. ყოველივე ამან, როგორც იქნა, გამოაღვიძა სადათას ძილისაგან მუშები, აირჩიეს კომისია ათი კაცისაგან ხაზეინთან მოსალაპარაკებლათ ყველა წართმეულ უფლებების დაბრუნების შესახებ საერთოდ და კერძოთ საქმის ასე უცრივ შეხერხებაზე, რომლის მიზეზიც როგორც აქციზი ისე თითონაა, რადგანაც სამი მეოთხედი კაპეიკი თითონ დაამატა თითეულ პაჩკაზე თუ კაროფკაზე. ოთხშაბათს კომისიამ გადასცა ხაზეინს ყოველივე რაც დააკლეს მუშებს, ხაზეინებმა აღუთქვეს მუშებს პასუხი მომავალ პარასკევისათვის. ვნახოთ, რა პასუხი იქნება. თუმცა, რასაკვირველია, წინდაწინვე უნდა ვიცოდეთ, რომ მუშების სასარგებლო არა იქნება რა. ხაშა.

რედაქტორ-გამომცემელი
**ნ. მელიქ-შახნაზარიანცი**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა,

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს, 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს, 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე!** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს, 46 წ. (1 წ. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში .1) საგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) საგარაკო № 77ა, ნაშუადღევის 2 ს, (2 ს. 58 წ.).

ექიმი
**არდაზიანცი**
განაახლა ავათმყოფების მიღება. დროებით მე-2 თუმანოვის ქუჩა № 27. დილის 8—9 ნახ. საათ. და საღამოს 4—9 საათამდის. (0—თ—9)

იყიდება ყველგან ახალი
**ჩანგი**
წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმრო და სახუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერ არსად არ დაბეჭდილა, სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „ადვოკატთან“, „ტაინი სოვეტნიკის სიზმარი“ და „უბედური დღე“. წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მან. 35 კ. უყდო 1 მ. ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.
ადრესი: Тифлисъ, „Сорапань“, Гачечиладзе. (5—4)

გამოცდილი მასწავლებლები
(მონაწილეობას ღებულობენ მასწავ. ქალებიც, მცოდნე ზედმიწევნით უცხო ენებისა).
ამზადებენ **ქალ-ვაჟთ,** ყველა **დაბალ და საშუალო** სასწავლებლებისათვის: **სამოქალაქო** სასწ., **სასულიერო, საფერშლო, ტეხნიკის, რეალურ, საქალებო** და **სავაჟო გიმნაზიის, სამასწავლებლო სემინარიისთვის.** ამზადებენ **სოფლის ერთ და ორ კლასიან მასწავლ.,** როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, **ყველა ხარისხზე.**
აგრეთვე ღებულობენ მოსწავლე ვაჟებს და ქალებს, რომლებმაც **ანბანი** სრულებით არ იციან.
მსურველთ იყვანენ მთელ ხარჯზედაც.
თვიურათ ფასი 5 მ.—20 მ.-დე, იყვანენ პირობითაც.
ამ ეზოშივე გამოცდილი **მკერავი** ქალი ღებულობს და კერავს **ზაკაზებს ხელმისაწდომ ფასებში, იყვანს მოსწავლე ქალებს.**
ადრესი: ავჭალის ქუჩა, სახლი № 133, ბინა 26, (ვოგზლის პირდაპირ—ნახალოვკაში).
მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე, თავდება საღამოს 9 საათზე. (24—11)